603/2 № 10167

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ოქტომბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 189 (9856) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# XXIV ოლიმპიური თამაშები
# სეული, 1988 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **თენგიზ გაჩეჩილაძე** სეულიდან გვატყობინებს:

## ჩვენი სათვალავი

**ოლიმპიადის** მთავარ პრესცენტრში ჩვენი გამოჩენა მილოცვით იწყება. საბჭოთა ჟურნალისტები, რომლებიც სეულში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების კორესპონდენტებად არიან აკრედიტებული, გვილოცავენ თამაშებში საქართველოს სპორტსმენების წარმატებებს და, როგორც წესი, იქვე დასძენენ ხოლმე — კიდევ სად აპირებთ მედლის აღებას?

არ დავმალავთ, საბჭოთა ჟურნალისტებს, ისევე, როგორც სპეციალისტებს და ორგანიზატორებს, ოლიმპიური მედლების თავისებური სათვალავი გვაქვს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საამაყოა, რომ საქართველოს ათლეტთაგან თითქმის სამიდან ორი სპორტსმენი მაინც მედლით ამთავრებს ასპარეზობას.

გუშინწინ მთავარ პრესცენტრში საბჭოთა ჟურნალისტები ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენი ქვეყნის რაპირისტთა ნაკრები გუნდის გამარჯვებაზე. მაგრამ საუბარისა და ალფრთოვანების მთავარი თემა მაინც ჩვენი მოფარიკავე ვლადიმერ აფციაური იყო. ვლადიმერმა გამოავლინა გუნდური ასპარეზობისათვის ბრძოლის განსაკუთრებით შესანიშნავი თვისებები, იგი, როგორც იტყვიან, პირდაპირ ცეცხლს ანთებდა საფარიკაო ბილიკზე, სტიმულსა და რწმენას მატებდა თანაგუნდელებს. აფციაური ყველა გადამწყვეტ ბრძოლას თავის სასარგებლოდ ამთავრებდა და გუნდს აწინაურებდა.

— მომილოცავს, — თუ ვინმეზე იტყვიან, თხემით ტერფამდე სპორტსმენიაო, ეს თქვენს ვლადიმერ აფციაურზე ითქმის, გვითხრა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქტორმა ვალერი კუდრიავცევმა.

ოთხშაბათს, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი პუსანიდან სეულში ჩამოფრინდა და აქ განაგრძო მზადება ფინალური შეხვედრისათვის. ასე რომ, 1 ოქტომბერს საქართველოს წარგზავნილთაგან კიდევ ერთ სპორტსმენს — გელა კეტაშვილს აქვს განაღებული ოლიმპიური მედალი. საგულისხმოა, რომ 32 წლის შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები პირველად გავლენ ოლიმპიური ტურნირის ფინალში. აქ ჩვენების მეტოქე იქნება ბრაზილიის ნაკრები გუნდი.

გიორგი ჩოგოვაძეს ათმეტრიანი კოშკიდან წყალში მხტომელთა ძლიერ შემადგენლობასთან მოუწია პაექრობა. ეს, ცხადია, ნაკრების ხელმძღვანელობამ და ყველამ ჩვენთაგანმა თავიდანვე იცოდა. გიორგის შეუპოვარი ხასიათი, დიდი მობილიზაციის უნარი ყველას უნერგავდა რწმენას, რომ იგი ღირსეულად იბრძოლებდა. მაგრამ სხვებზე მეტად მაინც თავად იგი იყო დარწმუნებული საკუთარ თავში და შესაძლებლობებში.

გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს გიორგი ჩოგოვაძესთან და ნათელი გახდება, თუ რა მოხდა.

● **თქვენმა მწვრთნელმა იური გუტიაკულოვმა, რომელსაც ფინალური ასპარეზობის დაწყებამდე შევხვდით, გვითხრა, რომ შეჯიბრების წინ სამი დღე სიცხიანი იწექით...**

— სადღაც გავცივდი, 39 გრადუსი სიცხე მქონდა. ჩემი ბრალია, ეტყობა, თავს ვერ გავუფრთხილდი.

● **როგორც მითხრეს, შეჯიბრებაში ისე ჩაებით, გამოჯანმრთელებული არ ყოფილხართ...**

— სხვა გამოსავალი არ იყო.

● **რა განწყობით და მიზნით ჩამოხვედით სეულში?**

— აქ ვიგრძენი, რომ შემეძლო ოქროს მედლისთვის მებრძოლა, ისეთ ფორმაში ვიყავი, როგორც არასდროს.

● **კი მაგრამ, ოქროს მედალს ხომ თქვენ არავინ გიგებავდათ?**

— ამას მე ვთხოვდი საკუთარ თავს, ავადმყოფობის მიუხედავად, თავი არ დამიზოგავს, მაგრამ მეტი ვერ შევძელი. თავად ნახეთ, ერთხანს ლიდერიც ვიყავი, მაგრამ მომდევნო ნახტომი სრულყოფილად ვერ შევასრულე და...

● **იყო მსოფლიოში მეოთხე და ისიც ახეთ ასპარეზობაზე, ეს ურიგო არ უნდა იყოს...**

— ვიმეორებ, მეტისთვის ვიყავი განწყობილი. როგორც ჩანს, ჩემი სიტყვა მომავალ ოლიმპიადაზე უნდა ვთქვა.

დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ასპარეზობა. წარმატებით ჩაატარა პირველი შეხვედრები და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა ლერი ხაბელოვმა. შევხვდით ვლადიმერ მესტვირიშვილს. მწვრთნელი შეწუხებული იყო — შეჯიბრების წინა დღეს ლერი დაშავდა, თუმცა — დასძინა მან — ტრავმა არ არის ისეთი სერიოზული, რომ ჩვენს ფალავანს ხელი შეეშალოს მიზნის მიღწევაში.



ლერი ხაბელოვი

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ლერი ხაბელოვს — ვერცხლის მედალი

**გუშინ** სეულში თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მედლების კიდევ სამი კომპლექტი გაითამაშეს. 100 კგ წონით კატეგორიაში თბილისელმა ლერი ხაბელოვმა ფინალური შეხვედრა ჩაატარა. მისი მეტოქე იყო რუმინელი ვასილე პუშკაშუ. ორივე სპორტსმენი თავიდანვე აქტიურობდა, მაგრამ ქულის აღება ვერც ერთმავერ შეძლო. მეტოქეებმა ორ-ორჯერ მიიღეს ჩოქბჯენში ბრძოლის გაგრძელების უფლება, მაგრამ უშედეგოდ. დარბაზი მხურვალედ უჭერდა მხარს ხაბელოვს, გულშემატკივრები ხმაშეწყობილად ამხნევებდნენ მას შეძახილით — „ლერი, ლე-რი, ლე-რი“! სამწუხაროდ, შეხვედრის დამთავრებამდე 25 წამით ადრე პუშკაშუმ მოახერხა ქულის აღება, რამაც გადაწყვიტა კიდეც ამ შეხვედრის ბედი — ხაბელოვს ვერცხლის მედალი ხვდა წილად. ეს საქართველოს წარმომადგენელთა მერვე მედალია სეულის ოლიმპიადაზე.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

**52 კგ.** 1. მიცური სატო (იაპონია), 2. საბან ტრსტენი (იუგოსლავია), 3. ვლადიმერ თოგუზოვი (სსრ კავშირი, ორჯონიკიძე).

**74 კგ.** 1. კენეტ მანდეი (აშშ), 2. ადლან ვარაევი (სსრ კავშირი, გროზნო), 3. რახმად სოფიადი (ბულგარეთი).

**100 კგ.** 1. ვასილ პუშკაშუ (რუმინეთი), 2. ლერი ხაბელოვი (სსრ კავშირი, თბილისი), 3. უილიამ შერი (აშშ).

ექვსი წონითი კატეგორიის შემდეგ საბჭოთა ათლეტებმა ერთი ოქროს (მახარბეკ ხადარცევი), სამი ვერცხლისა (ლერი ხაბელოვი, სტეპან სარქისიანი, ადლან ვარაევი) და ორი ბრინჯაოს (სერგეი კარამჩაკოვი, ვლადიმერ თოგუზოვი) ჯილდო მოიპოვეს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირში ახლა ჯერი დავით გობეჯიშვილზეა. როგორც ვლადიმერ მესტვირიშვილმა გვითხრა, დავითი ახლა ისეთ ფორმაშია, როგორც არასდროს და მასზე ნაკრების ხელმძღვანელები დიდ იმედს ამყარებენ.

ოლიმპიადასთან მიძღვნილი მასალები იხ. მე-4 გვერდზე.

## გამარჯვება, ჩემპიონო!

**XXIV ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველი სპორტსმენები სეულიდან სამშობლოში ბრუნდებიან. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების შემადგენლობაში მოპოვებული ოქროს მედლით დაბრუნდა თბილისში ვლადიმერ გოგოლაძე. უმაღლესი ხარისხის ოლიმპიური ჯილდოს გარდა, მას მიენიჭა დამსახურებული სპორტის ოსტატის წოდებაც.**

**თბილად შეხვდნენ ოლიმპიელს ახლობლები, მწვრთნელები, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის აღზრდილები.**



**ს უ რ ა თ ზ ე: ვლადიმერ გოგოლაძე თბილისის აეროპორტში.**

**ი. შლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## პროფკავშირთა ჩემპიონატზე

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების ქალთა საკავშირო პირველობას ქ. კიშინიოვმა უმასპინძლა. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ჩატარდა, 38 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის 13 ოსტატი. ჩემპიონის წოდება 8,5 ქულით მოიპოვა კიეველმა ოსტატმა ე. სედინამ, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა ნათია ჯანჯღავა. III-IV ადგილები გაიყვეს ესტონელმა ოსტატმა პაარნპუუმ და ფრუნზელმა ოსტატმა ოსტრომ. თბილისელმა ლია სადუნიშვილმა და 13 წლის ნინო ხურციძემ V-VIII ადგილები გაინაწილეს. აღსანიშნავია, რომ ჯანჯღავამ და სადუნიშვილმა შეასრულეს ოსტატის ნორმა. ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი თეა ლანჩავა 5,5 ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ თეამ ბრწყინვალედ იასპარეზა „სწრაფ“ ჭადრაკში პროფკავშირთა საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც ძირითადი ტურნირის დამთავრებისთანავე ჩატარდა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო დიდოსტატმა ე. ახმილოვსკაიამ, 9 შეხვედრიდან 7,5 ქულით თეა ლანჩავამ I ადგილი დაიკავა და თასსაც დაეუფლა.

**ზაზა ცქიტიშვილი.**

**მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის**

## მეოთხე პარტია

**ნ. იოსელიანი — მ. ჩიბურდანიძე**

**ესპანური პარტია**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0-0 9. h3 კe6 10. d4 კ:b3 11. ლ:b3 ეe8 12. მbd2 ed 13. cd მa5 14. ლd1 c5 15. მf1 კf8 16. მg3 მc6 17. d5 მe5 18. მ:e5 ე:e5 19. კf4 ეe8 20. ლf3 მd7 21. მf5 მe5 22. ლg3 მფh8 23. a4 ლd7 24. ab ლ:b5 25. კ:e5 ე:e5 26. ლc3 მფg8 27. ეa5 ლe8 28. მg3 h5 29. f4 ეe7 30. e5 de 31. fe ეd8 32. ე:c5 ე:e5 33. ე:e5 კ:c5+ 34. მფh1 ლb5 35. ე:h5 კd6 36. ეg5 g6 37. ლf6 ლe8 38. მe4 კe7 39. ეe5 კ:f6 40. მ:f6+ მფf8.

პარტია გადაიდო.

ჩიბურდანიძე



იოსელიანი

**მართალია,** ეს-ესაა, რაც დაიწყო მატჩი, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, ჩემპიონმაც და პრეტენდენტმაც ორი სადებიუტო სისტემის ირგვლივ გაჩაღეს დავა — ჯერჯერობით მხოლოდ კარო-კანის დაცვასა და ესპანურ პარტიას მიმართეს მეტოქეებმა.

ამჯერადაც, მეოთხე შეხვედრაშიც ესპანური პარტია გათამაშდა. მაგრამ მეორე პარტიისგან განსხვავებით მაია ჩიბურდანიძემ მე-9 სვლაზე ახალი გაგრძელება აირჩია, რომელიც სხვათა შორის, ამ ბოლო დროს მეტად პოპულარული გახდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ პრეტენდენტმა მთელი პარტია აღმავლობით ჩაატარა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა დებიუტიდანვე პასიური პოზიცია მიიღო და ველარ შეძლო კონტრთამაშის შექმნა. ნანა იოსელიანმა ჯერ ლაზიერის ფრთაზე გაუხსნა ეტლს ხაზი, შემდეგ კი ცენტრალური პაიკები აამოძრავა და d5 და e5 უჯრებზე „ძლიერი პაიკები“ მიიღო. თეთრების ყველა ფიგურა აქტიურად იყო განლაგებული და იოსელიანს მეტოქის მეფეზე შეტევის კარგი შანსები შეექმნა. თუმცა სხვა გაგრძელებაც ჰქონდა, მაგრამ 34-ე სვლაზე პრეტენდენტმა ფორსირებული ვარიანტი აირჩია, რის შედეგადაც პაიკი მოიგო და შავების გვირგვინოსანზე წარმართა იერიში. ერთადერთი, უძლიერესი სვლებით, იოსელიანმა მეტოქე აიძულა ენდშპილში უპაიკოდ გადასულიყო. საკონტროლო დრო რომ დამთავრდა, მაია ჩიბურდანიძეს უკვე მეტად მძიმე პოზიცია ჰქონდა. 41-ე სვლა იოსელიანმა ჩაიწერა.

**გუშინ მეოთხე გადადებული პარტიის განახლებისას მსაჯმა კონვერტი გახსნა, სადაც ბლანკში პრეტენდენტს ჩაწერილი ჰქონდა 41. მ:e8 და მაია ჩიბურდანიძემ თავი დამარცხებულად ცნო.**

**ამრიგად, ანგარიში გათანაბრდა — 2:2. მომდევნო, მეხუთე პარტია რეგლამენტით დღეს, 1 ოქტომბერს უნდა გათამაშდეს.**

**დავით პელიძე,**

**ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.** თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანი: ახალგაზრდობის ფიზიკური და ზნეობრივი სრულყოფა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს სკოლამდელ დაწესებულებებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლა-ინტერნატების გამოსაშვებ ჯგუფებსა და IX-XI კლასებში ფიზკულტურის საგანში გამოცდების შემოღება. შემუშავებულია დებულება, რომელიც დღეს ქვეყნდება. რესპუბლიკის სკოლამდელ აღზრდისა და საშუალო სკოლებში დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები გამოგზავნეთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში (ქ. თბილისი, გამსახ. ქ. № 52), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილება ან გაზეთ „ლელოს" რედაქციაში ლენინის ქ. № 14).

საქართველოს სსრ სახალხო განათლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილება.

# დებულება

### საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გამოსაშვები IX და XI კლასების მოსწავლეთათვის ფიზკულტურის საგანში გამოცდების ჩატარების შესახებ.

რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში IX და XI კლასებში ტარდება გამოცდები ფიზკულტურაში.

**გამოცდების ორგანიზაცია**

1. გამოცდები ფიზკულტურის საგანში IX და XI კლასებში ტარდება გამოსაშვები გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.

2. გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა IX და XI კლასების ძირითადი ჯგუფების ყველა მოსწავლისათვის.

3. მოსწავლეები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განეკუთვნებიან მოსამზადებელ სამედიცინო ჯგუფს, გამოცდებს აბარებენ, მასწავლებლისა და ექიმის შეხედულებისამებრ, შემცირებული მოთხოვნებით, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით.

4. მესამე, სპეციალური სამედიცინო ჯგუფის იმ მოსწავლეს, რომელიც ორი წლის [illegible] ფიზკულტურის დისციპლინაში, სპეციალურ მეცადინეობებზე დასწრებისა და ამ ჯგუფისათვის განკუთვნილი პროგრამის შესრულების შედეგად ეწერება შეფასება „ჩათვლილი", წინააღმდეგ შემთხვევაში — „არ ჩათვლილი".

5. გამოცდების მიღების ორგანიზაციისათვის სკოლებში იქმნება სპეციალური კომისია დირექტორის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყოს დაწყებითი სამხედრო სწავლების მასწავლებელი, სკოლის ექიმი (სოფელ ადგილებში რაიონის პედიატრი).

6. გამოცდების სანორმატივო მოთხოვნების ჩაბარებაზე და მოსწავლეთა ნიშნით შეფასების რეალობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფიზკულტურის საგნის მასწავლებელს და გამოცდების მიმღები კომისიის წევრებს.

7. გამოცდები ტარდება სპორტულ დარბაზებში, მოედნებზე, ახლომდებარე სპორტულ ბაზებზე, უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით. მოსწავლეები გამოცდებს აბარებენ სათანადო სპორტულ ფორმაში.

8. ავადმყოფობის გამო IX კლასის მოსწავლეთა საშემოდგომო გამოცდის გადატანის საკითხს წყვეტს სკოლის პედაგოგიური საბჭო სახალხო განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო XI კლასებისას—სახალხო განათლების განყოფილება განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების განყოფილების შუამდგომლობა, სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმის ამონაწერი და იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების საექიმო საკონტროლო კომისიის დასკვნა, რომელიც უშუალოდ ამ სკოლას ემსახურება.

9. IX და XI კლასების მოსწავლეებს, რომელთაც დროებით, ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს გამოცდების ჩაბარება, ფიზკულტურაში გამოცდა გადაეტანებათ საშემოდგომოდ. აღნიშნულ საგანში მოსწავლეებს 3-დან 22 ივნისამდე სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით ჩაუტარდებათ დამატებითი მეცადინეობა და კონსულტაციები. საშემოდგომო გამოცდებს ისინი აბარებენ 20-დან 28 აგვისტომდე. ამ მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის, დატოვების ან გამოშვების საკითხი წყდება პედაგოგიური საბჭოს დასკვნით სხდომაზე.

ფიზიკური კულტურის საგანში მოსწავლეს საბოლოო ნიშანი ეწერება წლიური და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე.

**საგამოცდო ნორმატივების მიხედვით ნიშნის გამოყვანა ხდება შემდეგი წესით:**

1. ნიშანი „5" მოსწავლეს დაეწერება თუ ოთხივე ნორმატივში მიიღებს ნიშან „5", „4", „4", „5", „5" ან „3", „4", „5", „5" და ა. შ.

2. ნიშანი „4" მოსწავლეს დაეწერება, როცა ოთხივე ნორმატივში მიიღებს ნიშან „4", „3", „3", „4", „4" ან „3", „3", „3", „5" და ა. შ.

3. ნიშანი „3" მოსწავლეს დაეწერება, თუ ოთხივე ნორმატივში მიიღებს ნიშან „3", „3", „3", „4", „3" ან „2", „3", „3", „3" და ა. შ.

**IX კლასი (გოგონები)**

| გამოცდის სახეები | ნორმატივები „5" | „4" | „3" |
|---|---|---|---|
| 1. რბენა 60 მეტრზე | 9,4 | 10,0 | 10,5 |
| 2. რბენა 2000 მეტრზე (წთ. წმ.) | 10,20 | 12,00 | 13,04 |
| 3. გამორბენით სიგრძეზე ხტომა | 3,70 | 3,30 | 2,90 |
| 4. ზურგზე წოლის მდგომარეობიდან წამოჯდომა, ხელები თავს უკან | 20 | 15 | 10 |
| 5. ცურვა 50 მეტრზე | 1,05 | 1,15 | 25 მ დროის აღრიცხვის გარეშე. |

**IX კლასი (ვაჟები)**

| გამოცდის სახეები | ნორმატივები „5" | „4" | „3" |
|---|---|---|---|
| 1. რბენა 60 მეტრზე | 8,4 | 9,2 | 10,0 |
| 2. რბენა 2000 მეტრზე (წთ. წმ.) | 9,20 | 10,00 | 11,00 |
| 3. გამორბენით სიგრძეზე ხტომა | 4,30 | 3,80 | 3,30 |
| 4. მაღალ ძელზე კიდში მიზიდვა | 10 | 8 | 7 |
| 5. ცურვა 50 მეტრზე | 0,43 | 0,55 | 25 მ დროის აღრიცხვის გარეშე. |

**XI კლასი (გოგონები)**

| გამოცდის სახეები | ნორმატივები „5" | „4" | „3" |
|---|---|---|---|
| 1. რბენა 100 მეტრზე | 16,0 | 16,5 | 17,0 |
| 2. რბენა 2000 მეტრზე (წთ. წმ.) | 10,00 | 11,30 | 12,20 |
| 3. გამორბენით სიგრძეზე ხტომა | 3,50 | 3,40 | 3,10 |
| 4. ზურგზე წოლის მდგომარეობიდან წამოჯდომა, ხელები თავს უკან | 25 | 20 | 15 |
| 5. ცურვა 50 მეტრზე | 1,00 | 1,10 | 25 დროის აღრიცხვის გარეშე. |

**XI კლასი (ვაჟები)**

| გამოცდის სახეები | ნორმატივები „5" | „4" | „3" |
|---|---|---|---|
| 1. რბენა 100 მეტრზე | 14,2 | 14,5 | 15,0 |
| 2. რბენა 3000 მეტრზე (წთ. წმ.) | 13,00 | 15,00 | 16,30 |
| 3. გამორბენით სიგრძეზე ხტომა | 4.60 | 4.20 | 3.70 |
| 4. მაღალ ძელზე მიზიდვა | 12 | 10 | 8 |
| 5. ცურვა 50 მეტრზე | 0,41 | 0,50 | 25 მ დროის აღრიცხვის გარეშე. |

**შენიშვნა:** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, რომელსაც აქვს საცურაო ან [illegible] საცურაო აუზი, აქვე მოსწავლეებისათვის სავალდებულოა ცურვის ნორმატივების ჩაბარება, ხოლო მოსწავლე, რომელიც ჩააბარებს ცურვას, თავისუფლდება ნორმატივების ჩაბარებიდან (IX კლასი — რბენა 60 მ., XI კლასი რბენა 100 მ.).





# დებულება

### საქართველოს სსრ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამოსაშვებ ჯგუფებში ფიზიკურ მომზადებაში გამოცდების ჩატარების შესახებ

**გამოცდების ორგანიზაცია**

1. გამოცდები ფიზიკურ მომზადებაში გამოსაშვებ ჯგუფებში ტარდება სასწავლო წლის დამთავრებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.

2. გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა ძირითადი ჯგუფების ყველა აღსაზრდელისათვის.

3. აღსაზრდელები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით განეკუთვნებიან მოსამზადებელ სამედიცინო ჯგუფს, გამოცდებს აბარებენ პედაგოგისა და ექიმის შეხედულებებისამებრ, შემცირებული მოთხოვნებით, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მომზადების გათვალისწინებით.

4. გამოცდების მიღების ორგანიზაციისათვის სკოლამდელ დაწესებულებებში იქმნება სპეციალური კომისია გამგის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ბაღის ექიმი (სოფელ ადგილებში რაიონის პედიატრი).

5. გამოცდების სანორმატივო მოთხოვნების ჩაბარებაზე და აღსაზრდელთა ნიშნით შეფასების რეალობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამოცდების მიმღები კომისიის წევრებს.

6. გამოცდები ტარდება სპორტულ დარბაზებში, მოედნებზე, ახლომდებარე სპორტულ ბაზებზე უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით. აღსაზრდელები გამოცდებს აბარებენ სათანადო სპორტულ ფორმაში.

**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფიზიკურ მომზადებაში გამოცდები**

**ბიჭები**

| გამოცდის სახეები | ნორმატივები „5" | „4" | „3" |
|---|---|---|---|
| 1. მაქოსებური რბენა 3X10 მ | 8,5 | 9,00 | 9,5 |
| 2. ადგილიდან სიგრძეზე ხტომა | 90 სმ | 80 სმ | 70 სმ |
| 3. 6 მეტრის მანძილიდან მცირე ბურთის ტყორცნა მიზანში (5 ცდა სამიზნის სიმაღლე 2 მეტრი). | 3, | 2, | 1, |
| 4. 300 მეტრი დროის აღურიცხავად | | | |

**გოგონები**

| გამოცდის სახეები | ნორმატივები „5" | „4" | „3" |
|---|---|---|---|
| 1. მაქოსებური რბენა 3X10 მ | 9,00 | 9,5 | 10,00 |
| 2. ადგილიდან სიგრძეზე ხტომა | 80 სმ | 70 სმ | 60 სმ |
| 3. 5 მეტრის მანძილიდან მცირე ბურთის ტყორცნა მიზანში (5 ცდა სამიზნის სიმაღლე 2 მეტრი) | 3, | 2, | 1, |
| 4. 200 მეტრი დროის აღურიცხავად | | | |

# ასოციაციის ახალი წევრები

**[illegible]** [illegible] ასოციაციამ, რომლის პრეზიდენტი მთავარი ჩემპიონი გახლავთ, თავის რიგებში ორი ახალი წევრი მიიღო: მსოფლიო ჩემპიონი მთა [illegible] და მისი [illegible].

### პროფკავშირთა სპორტული საზოგადოება

# სტარტს სტარტი მიჰყვება

**1 ოქტომბერს** 15.00 საათზე დიღმის ტყე-პარკში ტარდება მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი მასობრივი [illegible] კროსი.

**1-2 ოქტომბერს** ქ. მცხეთაში ნაკის რესპუბლიკური საბჭო ატარებს რესპუბლიკურ პირველობას ტურიზმში.

**1 ოქტომბერს** 12.00 საათზე წყალტუბოს ცენტრალურ სტადიონზე ტარდება პროფკავშირების მუშათა საქალაქო 1 სპარტაკიადის საზეიმო გახსნა, მასობრივი შეჯიბრებები.

**1 ოქტომბერს** 11 საათზე გურჯაანის ცენტრალურ სტადიონზე კი პროფკავშირების მუშათა რაიონული 1 სპარტაკიადის საზეიმო გახსნა გაიმართება. ჩატარდება ესპარზობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

**2 ოქტომბერს** 12.00 საათზე ქარელში სოფ. ორთუბანის სტადიონზე ტარდება პროფკავშირების მუშათა რაიონული 1 სპარტაკიადის საზეიმო გახსნა, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

**ყაზმი** მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი სანზატკეცილო ველორბოლაში. მონაწილეობენ საზოგადოების ნაკრები გუნდები 24 სპორტსმენის შემადგენლობით.

**30 სექტემბრიდან** 1 ოქტომბრის ჩათვლით თბილისში ტარდება საქართველოს ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობს საზოგადოების ორი გუნდი 70 სპორტსმენის შემადგენლობით.

**ქუთაისში** ტარდება კლდეზე ცოცვაში სიმონ, ალექსანდრა, ალიოშა ჯაფარიძეების მემორიალი. მონაწილეობას ღებულობს საზოგადოების 50-მდე სპორტსმენი.

## I ლიგა

**29 სექტემბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 36-ე ტურის მატჩები.

საქართველოს გუნდებმა სტუმრად ითამაშეს და ორივემ მარცხი განიცადა: ლანჩხუთის „გურიამ" აბოვიანში წააგო „კოტაიკთან", ხოლო ბათუმის „დინამომ" — კრასნოდარის „ყუბანთან". ორივე შეხვედრაში ანგარიში იყო 1:0. აღსანიშნავია, რომ წინა ტურის შეხვედრაში, რომელიც 26 სექტემბერს შედგა აბოვიანში „კოტაიკსა" და ბათუმის „დინამოს" შორის, დინამოელმა ფეხბურთელებმა მკაცრი სასჯელები დაიმსახურეს მსაჯის ა. ხოხრიაკოვისგან (იოშკარ-ოლა): გაფრთხილებები მიიღეს მეკარე ა. ბალაძემ და მცველმა გ. ჩიქოვანმა, ხოლო მ. მახარაძე მინდვრიდან გააძევეს.

29 სექტემბრის სხვა შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „დაუგავა" (რიგა) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 3:1, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 1:0, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:0, „ზვეზდა" (პერმი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:0, „პამირი" (დუშანბე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი" | 35 | 21 | 9 | 5 | 64–32 | 51 |
| „როტორი" | 34 | 19 | 5 | 10 | 59–29 | 43 |
| „ფახთაქ." | 35 | 17 | 9 | 9 | 49–29 | 43 |
| „გურია" | 33 | 18 | 5 | 10 | 48–31 | 41 |
| ცსკა | 33 | 16 | 9 | 8 | 46–27 | 41 |
| „დინ." სტ. | 35 | 15 | 10 | 10 | 48–35 | 40 |
| ასკ „კარპ." | 34 | 16 | 7 | 11 | 46–24 | 39 |
| „დაუგავა" | 34 | 16 | 6 | 12 | 50–40 | 38 |
| „ტავრია" | 35 | 12 | 11 | 12 | 32–37 | 35 |
| „როსტსელ." | 34 | 13 | 8 | 13 | 49–49 | 34 |
| ასკ რ. | 33 | 12 | 10 | 11 | 42–48 | 34 |
| „გეოლოგი" | 34 | 14 | 5 | 15 | 38–43 | 33 |
| „სპარტ." | 35 | 13 | 7 | 15 | 45–48 | 33 |
| „კოტაიკი" | 35 | 13 | 7 | 15 | 44–65 | 33 |
| „შინიკი" | 35 | 11 | 8 | 16 | 32–42 | 30 |
| „კუზბასი" | 34 | 9 | 12 | 13 | 24–34 | 30 |
| „მეტალ." | 34 | 9 | 11 | 14 | 23–34 | 29 |
| „დინ." ბ. | 33 | 11 | 5 | 17 | 31–39 | 27 |
| „ყუბანი" | 35 | 10 | 7 | 18 | 31–48 | 27 |
| „ზარია" | 34 | 9 | 8 | 17 | 40–49 | 26 |
| „ზვეზდა" | 34 | 6 | 11 | 17 | 28–59 | 23 |
| „კოლოსი" | 34 | 8 | 6 | 20 | 24–51 | 22 |

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 2:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:1, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „სპარტაკი" (ანაპა) 1:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 0:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „ლუჩი" (აზოვი) 3:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 2:0, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „ნარტი" (ჩერქესკი) 1:3, „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 3:0, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ისკრა" (ერევანი) 6:3.

ამავე ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა 26-ე ტურის შედეგები ასეთია: „მეტალურგი" (რუსთავი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 2:0, „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) — „გოიაზანი" (ყაზახი) 0:1, „ტორპედო" (ქუთაისი) — „სოკოლი" (სარატოვი) 2:1, „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) — „დილა" (გორი) 1:0, „დინამო" (მახაჩყალა) — „თერგი" (გროზნო) 2:1, „ტორპედო" (ვოლჟსკი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) 3:1, „ხაზარი" (სუმგაითი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 2:1, „ბაკინეცი" (ბაქო) — „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) 0:1.

**გათამაშების ცხრილი**

**II ლიგა**

**IX ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ." ქ. | 26 | 21 | 4 | 1 | 60–16 | 46 |
| „ქიაფაზი" | 26 | 18 | 2 | 6 | 73–26 | 38 |
| „მეტალ." | 26 | 17 | 4 | 5 | 58–26 | 38 |
| „სოკოლი" | 25 | 16 | 4 | 5 | 59–31 | 36 |
| „გოიაზანი" | 26 | 13 | 5 | 8 | 43–29 | 31 |
| „ტექსტ." | 25 | 11 | 6 | 8 | 42–29 | 28 |
| „დილა" | 26 | 11 | 3 | 12 | 41–47 | 25 |
| „დინამო" | 26 | 10 | 5 | 11 | 34–35 | 25 |
| „ხაზარი" | 26 | 10 | 5 | 11 | 35–41 | 25 |
| „ატომმაში" | 26 | 9 | 7 | 10 | 36–38 | 25 |
| „თერგი" | 24 | 8 | 6 | 10 | 32–34 | 22 |
| „შევ."-სპი | 26 | 8 | 4 | 14 | 32–53 | 20 |
| „ლოკომოტ." | 26 | 7 | 4 | 15 | 26–49 | 18 |
| „ტორპ." ვ. | 26 | 6 | 4 | 16 | 23–41 | 16 |
| „ლოკ."-ომც | 26 | 5 | 3 | 18 | 27–61 | 13 |
| „ბაკინეცი" | 26 | 2 | 2 | 22 | 15–80 | 6 |

# მეგობრობის ტურნირი წყალტუბოში

**ფეხბურთის** საკავშირო კვირეულის დღეებში ქალაქ წყალტუბოში ადგილობრივი კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების თაოსნობით პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა ამიერკავკასიის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბაქოს „ნეფთჩის", თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოსა" და წყალტუბოს „სამგურალის" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდებმა. ტურნირში მოწვეული იყვნენ ერევნელი ვეტერანი ფეხბურთელებიც, მათ თანხმობა განაცხადეს, მაგრამ უკანასკნელ დღეს გაურკვეველი მიზეზების გამო არ ჩამოვიდნენ.

პირველ დღეს ქუთაისის ტორპედოელები წყალტუბოს ვეტერანებს შეხვდნენ და დამარცხდნენ — 4:5. მომდევნო შეხვედრაში თბილისელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ბაქოელთა გუნდი — 2:0.

25 სექტემბერს მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისის „ტორპედომ" ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბაქოს „ნეფთჩი".

ფინალში თბილისის დინამოელებმა საინტერესო ბრძოლაში სძლიეს წყალტუბოელ ფეხბურთელებს — 2:1. ბურთები გაიტანეს გ. მაჩაიძემ და ლ. ნოდიამ, ხოლო წყალტუბოელთაგან — დ. გოგოლაძემ.

გარდამავალ თასს დინამოელი ვეტერანები დაეუფლნენ.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები. საუკეთესო მეკარის ჯილდო გადაეცა ბაქოელ ვ. შეხოვს, საუკეთესო გოლის ავტორი გოჩა მაჩაიძე გახდა, ბომბარდირის პრიზი წყალტუბოელთა გუნდის წევრს დ. დარჯანიას (6 ბურთი) გადაეცა, ხოლო ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ ბაქოელი ვ. გაჯიევი აღიარეს. ყველაზე უხუცესი მონაწილე იყო წყალტუბოელი ნ. კობერიძე. ტურნირი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა წყალტუბოს ცენტრალურ სტადიონზე, მეტად საინტერესოდ ჩატარდა, რაც ქალაქის აქტივის დიდი დამსახურებაა. ვეტერანი ფეხბურთელები თამაშებიდან თავისუფალ დროს ხვდებოდნენ რაიონის მშრომელებს, ეწყობოდა შეხვედრები წყალტუბოელ ახალგაზრდობასთან და მოსწავლე-სპორტსმენებთან.

**ი. მჭედლიშვილი.**

# ა. ზავაროვის რეაბილიტაცია

**ცნობილი** საბჭოთა ფეხბურთელის ალექსანდრე ზავაროვის პირველი მარცხიანი გამოსვლის შესახებ იტალიის კლუბის ტურინის „იუვენტუსის" შემადგენლობაში ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. ა. ზავაროვმა ამ მატჩში მსუბუქი ტრავმაც მიიღო, მაგრამ მალე გამოკეთდა, მწყობრში ჩადგა და გასულ ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, კვლავ გამოვიდა „იუვენტუსის" შემადგენლობაში. ტურინელთა ეს გუნდი თასის ეროვნული გათამაშების მატჩში შეხვდა „ბრეშიას" და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0, ამასთან ორივე ბურთი მეტოქის კარში სწორედ ზავაროვმა გაიტანა.

იტალიური პრესა, მიმომხილველები აღნიშნავენ ა. ზავაროვის შესანიშნავ თამაშს, მთელი 90 წუთის განმავლობაში მან ცხადყო, რომ „იუვენტუსს" ტყუილად არ გადაუხდია მის საფასურად კოლოსალური თანხა.

პირველი გოლი „ბრეშიას" კარში ა. ზავაროვმა მე-12 წუთზე გაიტანა, მას შემდეგ, რაც სწრაფი კომბინაცია გაითამაშა ლაუდრუპთან, გვერდი აუარა მეტოქის ორ მცველს და ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში. შემდეგ კი, 29-ე წუთზე, მან მეორედ აიღო მეტოქის კარი.

## SOS

## მინდორზე — „ნაცნობი" სახეები

**ამ დღეებში რედაქციაში გვეწვია ფეხბურთის გულშემატკივარი. როდესაც მოსვლის მიზეზი ვკითხეთ, მან შემდეგი გვიპასუხა: „10 სექტემბერს მივლინებით ვიმყოფებოდით ზუგდიდში. მე და ჩემს თანამშრომელს საშუალება მოგვეცა გვენახა საქართველოს პირველობის III ჯგუფის დასავლეთი ქვეჯგუფის გუნდებს შორის გამართული შეხვედრა ზუგდიდის „ახალსოფელსა" და აბაშის „ზანას" შორის. ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო მსაჯის მიკერძოებულმა დამოკიდებულებამ მასპინძელთა გუნდისადმი. შეხვედრა დასრულდა ზუგდიდელთა გამარჯვებით — 3:2. არბიტრმა ამ მატჩში ორი აბაშელი მოთამაშე გააძევა მინდვრიდან, 7 და 14 ნომრები. ამ დროს მეც და ჩემმა თანამშრომელმაც კარგად დავიხსომეთ დასჯილი ფეხბურთელების სახეები, რადგან მათ გაუვანას მინდვრიდან საკმაო დრო დასჭირდა.**

**რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მომავლინეს დასავლეთ საქართველოში და 18 სექტემბერს აბაშელთა კიდევ ერთ შეხვედრას დავესწარი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მინდორზე ორივე გაძევებული მოთამაშე ვიხილე, სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე თქვენთან მოსვლა და ყოველივე ზემოთ მონათხრობის გადმოცემა. გთხოვთ განმიმარტოთ რამდენი კალენდარული მატჩით ისჯება საქართველოს პირველობაზე მინდვრიდან გაძევებული მოთამაშე"?**

**რედაქციისაგან:** ყოველივე ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, გადავამოწმეთ ზემოთ მოყვანილი ფაქტები. გამოირკვა, რომ ზუგდიდის „ახალსოფლისა" და აბაშის „ზანას" შორის მინდვრიდან მართლა გაუძევებიათ ორი მოთამაშე — ა. ქადარია და მ. გვაზავა. მსაჯს ნ. ნაკაიძეს გათამაშების ოქმში არ ჩაუწერია არც ერთი ფეხბურთელის გვარი, ესე იგი, არ დაუფიქსირებია ზემოთ ნახსენებ ფეხბურთელთა მინდვრიდან გაძევება და მომდევნო კალენდარულ მატჩში ორივე ფეხბურთელიც ისევ მინდორზე იყო.

რაღა თქმა უნდა, ძნელია საქართველოს პირველობის ყველა მატჩში ინსპექტორის ან ფეხბურთის სამმართველოს წარმომადგენლის გაგზავნა, მაგრამ იმას რაღა უდგას წინ, რომ მსაჯმა ოქმში, რომელიც ფეხბურთის სამმართველოში იგზავნება, ხოლიგან ფეხბურთელთა გვარები ჩაწეროს, რათა სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილოს მათი დისკვალიფიკაციის საკითხი. ეს ასე თუ არ მოხდა, სხვაგვარად რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე წესრიგი ვერ დამყარდება.

და, ბოლოს, გვინდა რედაქციის სახელით მადლობა გადავუხადოთ ფეხბურთის გულშემატკივარს, რომელმაც გამოაამჟღავნა ეს ინციდენტი. ასეთი დარღვევები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.

### საქართველოს პირველობა

**გაიმართა** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის გამოტოვებული მატჩი ზესტაფონის „მეტალურგსა" და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. გოლები გაიტანეს კიკნაძემ და შარაბიძემ („მეტალურგი"), ხოლო თბილისელთაგან — ჯულელმა და ანიაშვილმა. მატჩი იმსაჯა ვ. მიმინოშვილმა (თბილისი).

ვეტერანები — მწყობრში

# საფეხბურთო თემიდის მსახური, მსაჯთა აღმზრდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...პატარა ბიჭი გამოკეტილ ალაყაფის კარზე აცოცებულიყო და იქიდან ადევნებდა თვალს სტადიონის მწვანე მინდორზე გამართულ ფეხბურთელთა ასპარეზობას. უხეშობისთვის მსაჯმა ერთ-ერთი მხარე დასაჯა. დაზარალებულებმა საჯარიმო ზუსტად გამოიყენეს და ანგარიში გახსნეს.

— დახე რა გვიქნა მსაჯმა? ჩვენი სკოლელია და იმათ ემხრობა,— ვერ მალავდა გულისწყრომას „ოცდამეთხუთმეტესკოლელი".

ეს მოხდა 1947 წლის გაზაფხულზე: „ბ" კლასის საკავშირო პირველობის მონაწილე თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი საწვრთნელ მატჩში ხვდებოდა 35-ე სკოლის ნაკრებს. მსაჯი იყო ამავე სკოლის აღსაზრდელი გურამ აკობაშვილი. ეს მისი სამსაჯო კარიერის ერთ-ერთი პირველი საპასუხისმგებლო მატჩი გახლდათ. სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად კი გ. აკობაშვილს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის მოწმობა გადაეცა. შემდეგ მას საკავშირო კატეგორიის საპატიო წოდება მიენიჭა. გ. აკობაშვილი გამონაკლისი არ ყოფილა, რადგან იმავე სკოლის აღზრდილები ავთანდილ ვარდიაშვილი, რევაზ გუდაძე, კიმა საძაგლიშვილი, კუკური გიორგობიანი, ოთარ ჯებაშვილი, კონსტანტინე აბაზაძე, გურამ გვანცელაძე, რომლებიც შემდეგ რესპუბლიკური თუ საკავშირო კატეგორიის მსაჯები გახდნენ, კარგა ხანს ემსახურებოდნენ საფეხბურთო თემიდას და საბჭოთა კავშირის საუკეთესო მსაჯთა ათეულშიც შედიოდნენ. დიახ, თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო საფეხბურთო სკოლაში, რომელმაც ქართულ და არა მარტო ქართულ, საბჭოთა ფეხბურთსაც არაერთი მაღალი კლასის მოთამაშე მისცა, შესანიშნავ არბიტრთა მთელი პლეადა აღიზარდა. და იქნებ სიმპტომურია ის, რომ დღეს, ასეთი კერის მოშლის შემდეგ, საკავშირო სარბიელზე საგრძნობლად შემცირდა ქართველ მსაჯთა რიცხვი...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ამ სკოლაში თავიდანვე შეიქმნა ფეხბურთის მსაჯთა ჯგუფი, რომელსაც ცნობილი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვარლამ შავდია ხელმძღვანელობდა.

ვარლამმა სპორტის სიყვარული „მემკვიდრეობით" მიიღო უფროსი ძმის — ტანმოვარჯიშისა და სპორტული მოღვაწის ვახტანგ შავდიასაგან, რომელიც ხონელ ახალგაზრდებს ჩაუდგა სათავეში და თავისსავე ეზოში ჯონდოს (ასე ეძახიან ვარლამს შინაურები) თვალწინ ვარჯიშობდა.

მაგრამ ვარლამი მთლად „ერთგული მემკვიდრე" არ აღმოჩნდა, რადგან ტანვარჯიშულ იარაღებზე უფრო ფეხბურთმა გაიტაცა და ეს გატაცება სამუდამო აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. ჭაბუკი ამ თამაშს მთელი სერიოზულობით მაშინ მოეკიდა, როცა ოჯახი თბილისში გადმოსახლდა და ბიჭი მე-15 საშუალო სკოლის მესამეკლასელი გახდა. სკოლას ჰქონდა საკმაოდ კარგი სტადიონი, სადაც პატარები დილიდან საღამომდე ბურთს დასდევდნენ. ერთხელ უფროსკლასელებს მოთამაშე დააკლდდათ და მისი მაგივრობა ჯონდოს მიანდვეს. შეხვედრას სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი კაკაურიძე ესწრებოდა და მას ვარლამ შავდიას თამაში მოეწონა. შემდეგ მასწავლებელმა იგი სკოლის გუნდში ჩარიცხა და გუნდის კაპიტანს შოთა შატბერაშვილს დაავალა ყურადღება მიექცია მისთვის. ამას ისიც დაემატა, რომ იქვე, სკოლის პირდაპირ, ცხოვრობდა თბილისის „დინამოს" კაპიტანი შოთა შავგულიძე, რომელიც თავისუფალ საათებს სკოლის გუნდთან მეცადინეობას უთმობდა. ამ დიდებულ სპეციალისტთან და აღმზრდელთან ურთიერთობის შედეგად ვარლამ შავდია სამუდამოდ დაუკავშირდა ფეხბურთს და დღემდე მისი ერთგული მსახურია.

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ცხაკაიაში იწყებს მწვრთნელად მუშაობას, 1940 წლიდან კი არმიაში მსახურობს, სადაც პოლკის ფიზმომზადებას ხელმძღვანელობს. მალე ომმა მოუსწრო და იბრძოდა ბარისპოლთან — კიევის მისადგომებთან, სადაც მძიმედ დაიჭრა. 1945 წლის აგვისტოში დაბრუნდა თბილისში. სწორედ იმ დროს იქმნებოდა ის ცნობილი 35-ე საფეხბურთო სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ ჯერ ასირ გალპერინი, დავით ცომაია, ნესტორ ჩხატარაშვილი, შემდეგ კი — გაიოზ ჯეჯელავა, არჩილ კიკნაძე, მიხეილ ბერძენიშვილი. მათ გვერდით იდგა ვარლამ შავდიაც, რომლის ხელში არაერთმა მომავალმა ოსტატმა გაიარა.

სკოლის ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერი სწორედ ის წლები იყო, როცა იქ უფროს მწვრთნელებად მუშაობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. ჯეჯელავა და ა. კიკნაძე, ნ. ძიაპშიპა, ვ. შავდია. მათი აღზრდილები ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობებში ტოლს არავის უდებდნენ და თბილისში ჩამოჰქონდათ თასები და დიპლომები.

1955 წელს ვარლამ შავდია რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნა და მთელი ოცი წელი იყო ამ პოსტზე. ეს საქართველოს მსაჯთა ელიტის „ვერცხლის" ხანაა, რადგან იგი მხოლოდ მოსკოვის მსაჯთა კოლეგიას უთმობდა საკავშირო პირველობების კვალიფიციურ მომსახურებაში, ჩვენი რესპუბლიკის არბიტრები კი, რომელთაგან რვა ემსახურებოდა უმაღლეს ლიგას, ოცამდე მსაჯი კი — „ბ" კლასსა და პირველ ლიგას, ბევრად „სჯაბნიდნენ" აღიარებულ ლენინგრადელ მსაჯებს.

იმავე პერიოდში ვარლამ შავდია არჩეული იყო საკავშირო მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად. საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 70 წლის პენსიონერი ვარლამ შავდია დღესაც მწყობრშია და ჩვეული ენერგიით ემსახურება ქართული ფეხბურთის განვითარებას. იგი არის თბილისის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე და მსაჯი-ინსპექტორი ფეხბურთში.

**ჰ. უნგიაძე.**



**სურათზე:** სსრ კავშირის ჭაბუკთა 1955 წლის პირველობაში გამარჯვებული, თბილისის 35-ე ვაჟთა საფეხბურთო სკოლის გუნდი პრიზით. შუაში — გუნდის მწვრთნელები, სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე და ვარლამ შავდია.

# XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## მაია აზარაშვილი ფინალში

**შთაბეჭდილება** ისეთი რჩება, თითქოს საკმარისია, ამერიკელმა სპრინტერმა ფლორენს გრიფიტ-ჯოინერმა აიღოს სტარტი და... გამარჯვება გარანტირებული აქვს, თანაც ან ოლიმპიური ან მსოფლიო რეკორდით. რეკორდი 200-მეტრიან დისტანციაზე გრიფიტმა მართლაც ორჯერ გააუმჯობესა, ჯერ ნახევარფინალურ გარბენში (21,56), მერე კი ფინალში (21,34). შესანიშნავმა სპორტსმენმა (იგი ლოს-ანჯელესში ცხოვრობს და მოდურ კოსმეტიკურ სალონს განაგებს) სეულში უკვე ორი ოქროს მედალი მოიპოვა და ორივე მძლეოსნობის პოპულარულ სახეობაში — სპრინტში.

მრავალი წლის შესვენების შემდეგ ფინალურ გარბენში ორი საბჭოთა სპრინტერიც — თბილისელი მაია აზარაშვილი და ბრიანსკელი გალინა მალჩუგინა გამოვიდა. ეს უკვე თავისთავად წარმატება იყო, მსოფლიოს უძლიერეს სპრინტერთა გვერდით ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლა. ეს უფლება ორთავემ წინასწარ, მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ გარბენებში მძიმე ბრძოლის შემდეგ მოიპოვა. ასე მაგალითად, წინასწარ გარბენში მაია აზარაშვილი მეორე იყო გრიფიტ-ჯოინერის შემდეგ. ნახევარფინალში ქართველმა სპრინტერმა მეოთხე ადგილი დაიკავა (22,33), რაც მას ფინალში გასვლის უფლებას აძლევდა.

ფინალში კი... აზარაშვილმა ნახევარფინალის დრო გაიმეორა (22,33), მაგრამ ეს მხოლოდ მეშვიდე შედეგი აღმოჩნდა. გალინა მალჩუგინამ მერვე ადგილი (22,42) დაიკავა. და მაინც, სპეციალისტთა აზრით ორივე საბჭოთა მძლეოსანი მხოლოდ ქებას იმსახურებს, იმიტომ, რომ მათ ფაქტიურად შეუძლებელი შეძლეს და იმიტომაც, რომ ჩვენს სპრინტერებს რწმენა დაუბრუნეს.

გთავაზობთ ფინალური გარბენის შედეგებს: 1. ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი (აშშ) — 21,34 (მსოფლიო რეკორდი), 2. გრეის ჯექსონი (იამაიკა) — 21,72, 3. ჰაიკე დრეჰსლერი (გდრ) — 21,95, 4. მერლინ ოტეი (იამაიკა) — 21,99, 5. ზილკე მელერი (გდრ) — 22,09, 6. გვენ ტორენსი (აშშ) — 22,17, 7. მაია აზარაშვილი (სსრკ) — 22,33, 8. გალინა მალჩუგინა (სსრკ) — 22,42.

იყო დრო, როცა 22 წამი ამ დისტანციაზე მორბენალთათვის გადაულახავ ზღუდედ ითვლებოდა. ახლა 22 წამზე უკეთესი დრო ერთბაშად ოთხმა მძლეოსანმა აჩვენა.

## მეშვიდე შედეგი

**სინქრონულ** ცურვაში ფავორიტებად, ჯერ კიდევ ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სპორტსმენები ითვლებოდნენ. სპეციალისტების ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც. კანადელმა კაროლინ ვალდომ ყველაზე მეტი ქულა დააგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა.

მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა გაუწია მას მხოლოდ ამერიკელმა ტრეისი რუის-კონფორტომ, რომელიც ოცნებობდა ჩემპიონობაზე, მაგრამ გამარჯვებულს 2,517 ქულით ჩამორჩა და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამ შეჯიბრებაში მესამე საპრიზო ადგილი იაპონელ მიკაკო კოტანის ხვდა წილად.

ასპარეზობაში გამოდიოდა თბილისელი ქრისტინა ფალასანიდიც, რომელმაც მეშვიდე შედეგი აჩვენა.

საპრიზო ადგილები სინქრონული ცურვის ოსტატთა შორის ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. კაროლინ ვალდო (კანადა) — 200, 150 ქულა, 2. ტრეისი რუის-კონფორტო (აშშ) — 197,633, 3. მიკაკო კოტანი (იაპონია) — 191, 850, 4. მორელ არმანი (საფრანგეთი) — 190,100, 5. კარინ ზინგერი (შვეიცარია) — 185,600, 6. ნიკოლა შირნი (ინგლისი) — 181, 933, 7. ქრისტინა ფალასანიდი (სსრ კავშირი, თბილისი) — 180,650.

## ოლიმპიადის დღიური

● **29 სექტემბერს** საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით ძნელი და ამიტომაც საპატიო იყო ფრენბურთელ ქალთა გამარჯვება პერუს ნაკრებთან ფინალურ ასპარეზობაში. საბჭოთა სპორტსმენები ამ დრამატულ მატჩს აგებდნენ ანგარიშით 2:0, მაგრამ საბოლოოდ წარმატებას მიაღწიეს (3:2) და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. სუპერმძიმეწონის ძალოსანთა შორის ბადალი არ ჰყავდა გროზნოელ ალექსანდრე კურლოვიჩს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ტაშკენტელი მახარბეკ ხადარცევი (90 კგ).

● **კალათბურთი.** ვაჟთა ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ფინალში იუგოსლავიის ძლიერი გუნდი დაამარცხეს — 76:63 (31:28) და 16 წლის შესვენების შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული დაიბრუნეს. ბრინჯაოს მედლები აშშ-ს სპორტსმენებს დარჩათ. მათ III ადგილისთვის ბრძოლაში ავსტრალიის გუნდს აჯობეს — 78:49. ვაჟთა ტურნირში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. აშშ, 4. ავსტრალია, 5. ბრაზილია, 6. კანადა.

დამთავრდა კალათბურთელ ქალთა ტურნირიც. გთავაზობთ გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს: 1–2 ადგილები. აშშ — იუგოსლავია 77:70 (42:36), 3–4 ადგილები სსრ კავშირი — ავსტრალია 68:53 (32:21), 5–6 ადგილები. ბულგარეთი — ჩინეთი 102:74 (53:19). საბოლოო შედეგები: 1. აშშ, 2. იუგოსლავია, 3. სსრ კავშირი, 4. ავსტრალია, 5. ბულგარეთი, 6. ჩინეთი.

● **კრივი.** მარათონულ ტურნირში (დაიწყო 17 სექტემბერს, მთავრდება 2 ოქტომბერს) უკვე გამოვლინდნენ ბრინჯაოს მედლების მფლობელნი. აქ ყველაზე კარგი მდგომარეობა პოლონეთს აქვს, რომლის, ოთხმა მოკრივემ გაინაღდა მესამე საპრიზო ადგილი (იან დიდაკი, ჰენრიკ პეტრიხი, ანჯეი გოლოტა და იანუშ ზარენკევიჩი). ორ-ორი ბრინჯაოს პრიზიორი ჰყავთ საბჭოთა კავშირსა (ტიმოფეი სკრიაბინი, ალექსანდრე მიროშნიჩენკო) და ამერიკის შეერთებულ შტატებს (კენტ გოლდი, რომალის ელისი).

ოქროს მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობენ 13 ქვეყნის წარმომადგენლები. ყველაზე ბევრი ფინალისტი ჰყავს აშშ-ს — 6 მოკრივე, სამხრეთ კორეას — 3, გადამწყვეტ ორთაბრძოლებში ორ-ორი მონაწილით არიან წარმოდგენილი საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი, გდრ და კანადა. უმაღლესი ჯილდოებისთვის სსრ კავშირის გუნდიდან იბრძოლებენ: 63,5 კგ-ში — ვ. იანოვსკი (შეხვდება ავსტრალიელ გ. ჩინეის), 81 კგ-ში — ნ. შანავაზოვი (ფინალში მისი მეტოქე ამერიკელი ე. მეინარდი იქნება).

ფინალური შეხვედრები ოლიმპიადების ისტორიაში პირველად ორ დღეს გაგრძელდება, საბჭოთა მოკრივეები რინგზე 2 ოქტომბერს გამოვლენ.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: მოკრივეთა ტურნირში მონაწილეობდა 107 ქვეყნის 441 ათლეტი, საპრიზო ადგილები კი 23 ქვეყნის ათლეტებმა დაისაკუთრეს.

● **ჩოგბურთი.** ქალთა წყვილების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა (ზინა ჰარისონი, პემ შრაივერი) და ჩეხოსლოვაკიის (იანა ნოვოტნა, ჰელენა სუკოვა) წარმომადგენლები. გამარჯვება ამერიკელებმა მოიპოვეს (4:6, 6:2, 10:8), ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელები კი მეორე ადგილზე გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ გფრ-ის (შტეფი გრაფი, კლაუდია კოდე-კილში) და ავსტრალიის (ელიზაბეტ სმაილი, უენდი ტერნბული) ჩოგბურთელებს.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა ერთეულების ფინალი, რომელშიც ჩეხოსლოვაკიელმა მიროსლავ მეჩირჟმა ამერიკელ ტიმ მაიოტს აჯობა — 3:6, 6:2, 6:7, 6:2. აქ ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. მიროსლავ მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია), 2. ტიმ მაიოტი (აშშ), 3. სტეფან ედბერგი (შვეცია) და ბრედ ჯილბერტი (აშშ).

● **თავისუფალი ჭიდაობა.** მედლების კომპლექტი სხვებზე უფრო ადრე 48,62 და 90 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გაითამაშეს. საბჭოთა ათლეტებმა თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრეს.

**48 კგ.** 1. ტაკასი კობაიასი (იაპონია), 2. ივან ცონოვი (ბულგარეთი), 3. სერგეი კარამჩაკოვი (სსრ კავშირი, კრასნოიარსკი).

**62 კგ.** 1. ჯონ სმითი (აშშ), 2. სტეპან სარქისიანი (სსრ კავშირი, კიროვაკანი), 3. სიმეონ შტერევი (ბულგარეთი).

**90 კგ.** 1. მახარბეკ ხადარცევი (სსრ კავშირი, ტაშკენტი), 2. აკირა ოტა (იაპონია), 3. კიმ ტე უ (სამხრეთ კორეა).

დამაჯერებლად ჩაატარა ოლიმპიური ტურნირი ხადარცევმა. იგი შვიდჯერ გამოვიდა სარბიელზე და შვიდივე შეხვედრა აშკარა უპირატესობით [illegible] [illegible] ხადარცევს 1983 წლიდან [illegible] არც [illegible] არც ერთი ბრძოლა არ [illegible] მწვრთნელის [illegible] განცხადებით ხადარცევს იმ წლის საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა [illegible] მუკა რაზმაძემ მოუგო.

● **ძიუდო.** **78 კგ.** წონითი კატეგორია. გამოცდილ ათლეტს, ევროპის ორგზის ჩემპიონს და [illegible]ლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ბაშირ ვარაევს ბრინჯაოს მედალი ერგო. ამ წონაში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. ვოლდემარ ლეგენი (პოლონეთი), 2. ფრანკ ვინეკე (გფრ), 3. ბაშირ ვარაევი (სსრ კავშირი) და ტორსტენ ბრეშნერი (გდრ).

ბოლოს და ბოლოს საბჭოთა ძიუდოისტებმა ვერცხლის მედალიც მიიღეს (ამირან ტოტიკაშვილმა, გიორგი თენაძემ და ბაშირ ვარაევმა როგორც ცნობილია, ბრინჯაოს ჯილდოები დაიმსახურეს). 86 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ვლადიმერ შესტაკოვი მეორე იყო. ადგილები: 1. პეტერ ზაიზენბაჰერი (ავსტრია), 2. ვლადიმერ შესტაკოვი, 3. ბენ სპაიკერსი (ჰოლანდია).

**95 კგ.** 1. აურელიო მიგელი (ბრაზილია), 2. მარკ მაილინგი (გფრ), 3. რობერტ ვან დე ვალე (ბელგია) და დენის სტიუარტი (ინგლისი).

### დღეს, 1 ოქტომბერს...

**ოლიმპიადაზე:**

ასპარეზობას აგრძელებენ მოკრივეები, ფრენბურთელები, მძლეოსნები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

**მაგიდის ჩოგბურთი. ქალები.** ერთეულთა თანრიგები. **ვაჟები.** ერთეულთა თანრიგები.

**ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა. ქალები.** ოთხადგილიანი ბაიდარა, 500 მ. **ვაჟები.** ერთადგილიანი ბაიდარა, 1000 მ. ერთადგილიანი კანოე, 1000 მ. ორადგილიანი ბაიდარა, 1000 მ. ორადგილიანი კანოე, 1000 მ. ოთხადგილიანი ბაიდარა, 100 მ.

**სინქრონული ცურვა.** დუეტები.

**კრივი.** 6 წონითი კატეგორია.

**თავისუფალი ჭიდაობა.** 57 კგ, [illegible] კგ, 82 კგ, 130 კგ.

**მშვილდოსნობა. ქალები.** გუნდური პირველობა. **ვაჟები.** გუნდური პირველობა.

**ჩოგბურთი. ქალები.** ერთეულთა თანრიგი. **ვაჟები.** წყვილთა თანრიგი.

**ბალახის ჰოკეი.** ვაჟები.

**წყალბურთი.**

**ხელბურთი.** ვაჟები.

**ძიუდო.** 95 კგ-ს ზევით.

**ფეხბურთი.**

**მძლეოსნობა. ქალები.** ბირთვის კვრა. რბენა, 1500 მ. ესტაფეტა, 4X100 მ. ესტაფეტა, 4X400 მ. **ვაჟები.** ბადროს ტყორცნა. რბენა 1500 მ. რბენა, 5000 მ. ესტაფეტა 4X100 მ. ესტაფეტა, 4X400 მ.

**ცისფერ ეკრანზე:**

**9.20–12.30.** ნიჩბოსნობა. სინქრონული ცურვა (2).

**10.20–14.50.** კრივი. ფეხბურთი, ფინალი: სსრკ — ბრაზილია (1).

**14.55–17.00.** XXIV ოლიმპიურ თამაშებზე (2).

**16.55–20.55.** მძლეოსნობა. ხელბურთი (1).

**21.00–22.00.** ძიუდო (2).

**22.50.** წყალბურთი. თავისუფალი ჭიდაობა. მაგიდის ჩოგბურთი (1).

## „მრავალფუთიანი" ბრინჯაო

### საკავშირო გაზეთების ფურცლებზე

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა „სოვეტსკი სპორტმა" თავისი სპეციალური კორესპონდენტის ანგარიში სეულის ოლიმპიადიდან, რომლის ტატამი, უფრო ზუსტად, ამ ტატამზე გამართული დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლები კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ როგორც ჭიდაობის მოყვარულებს, ისე ასპარეზობის უშუალო მონაწილეებს.

კორესპონდენტი წერს, რომ თამაშებზე საბჭოთა ძიუდოისტთა ნაკრები გამოცდილი და ახალგაზრდა მოჭიდავეებისგან შედგებოდა. ამ უკანასკნელთაგან პირველ ყოვლისა უნდა ითქვას 19 წლის თბილისელ ჭაბუკზე ამირან ტოტიკაშვილზე, რომელსაც სეზონის აღმოჩენად მიიჩნევენ. ამ ზამთარს მან პირველად გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატში, მაისში კი ყველას აჯობა ესპანეთში ევროპის ჩემპიონატზე. ამირანი ოლიმპიური ნაკრების ახალბედაა და არ გავუწბილებივართ — 60 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ მან პირველი ორთაბრძოლა მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონთან, მასპინძელთა წარმომადგენელ კიმ ჯე ხუპთან დათმო.

26 წლის გიორგი თენაძე სუსტად გამოვიდა ესენის მსოფლიო პირველობაზე, მაგრამ მისი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ანზორ ქიბროწაშვილი მწვრთნელთა საბჭოს არწმუნებდა, რომ ქართველი ჭაბუკი უჯილდოოდ არ დარჩებოდა. თენაძემ არ უღალატა მწვრთნელს და 71 კგ წონაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. გიორგისაც ერთადერთი ბრძოლა მოუგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფრანგმა მარკ ალექსანდერმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე იყო. ქართველ მოჭიდავეს გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა.

## სპორტული ოქტომბერი

**24–27.** აკრობატიკა. საქართველოს თასი. **ბათუმი.**

**17–23.** ბადმინტონი. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. **ბათუმი.**

**6–11.** კალათბურთი. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. გოგონები. **სამტრედია.**

**14–15.** კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ვაჟები. **თბილისი.**

**24–25.** კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ვაჟები. **თბილისი.**

**28–29.** კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ვაჟები. **თბილისი.**

**30–5/XI.** კრივი. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები. **სოხუმი.**

**6–9.** თავისუფალი ჭიდაობა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. აღმოსავლეთის ზონა. **საგარეჯო.**

**13–16.** თავისუფალი ჭიდაობა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. დასავლეთის ზონა. **ტყიბული.**

**14–17.** ქართული ჭიდაობა. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. ფინალი. **მცხეთა.**

**1–4.** კლასიკური ჭიდაობა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. I ზონა. **საგარეჯო.**

**9–11.** კლასიკური ჭიდაობა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. II ზონა. **მახარაძე.**

**21–23.** კლასიკური ჭიდაობა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. ფინალი. **მახარაძე.**

**15–17.** სამბო. საქართველოს სსრ თასი. **თბილისი.**

**21–24.** სამბო. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. I ზონა. **საგარეჯო.**

**30–2/XI.** სამბო. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. II ზონა. **ქუთაისი.**

**1–4.** წყალბურთი. საქართველოს სსრ ჩემპიონატი. III ტური. **ბათუმი.**

**6–9.** საწყლოსნო თხილამურები. საქართველოს სსრ ღია ჩემპიონატი. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით. **ფოთი.**

**24–30.** ფრენბურთი. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. იუნიორები. **ბათუმი.**

**12–16.** ტანვარჯიში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის XXXIV პრიზზე IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით. **ბათუმი.**

**19–23.** მხატვრული ტანვარჯიში. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. **თბილისი.**

**27–30.** აკადემიური ნიჩბოსნობა. სსრ კავშირის თასი. **ფოთი.**

**7–9.** ნიჩბოსნობა — ბაიდარები, კანოე. საქართველოს სსრ ჩემპიონატი. **ფოთი.**

**1–5** ძიუდო. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. I ზონა. **გორი.**

**6–10.** ძიუდო. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. II ზონა. **ქუთაისი.**

**19–23.** ძიუდო. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. ფინალი. **გორი.**

**16–18.** ძიუდო. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. გოგოები. **გორი.**

**25–30.** ცხენოსნობა. საქართველოს სსრ პირველობა ეროვნულ სახეობებში. **თბილისი.**

**1–9.** აფროსნობა. საქართველოს სსრ ღია ჩემპიონატი. **ფოთი.**

**26–28.** ბატუტზე ხტომა. საქართველოს ჩემპიონატი. **ბათუმი.**

**24–29.** თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს სსრ ჩემპიონატი. **თბილისი.**

**24–30.** მშვილდოსნობა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. **ზუგდიდი.**

**11–17.** ტყვიის სროლა. IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები. **სოხუმი.**

**19–24.** ტყვიის სროლა. საკავშირო შეჯიბრება. **სოხუმი.**

**3–9.** ჩოგბურთი. საქართველოს სსრ ღია ჩემპიონატი. **ბათუმი.**

**10–16.** ჩოგბურთი. ვეტერანთა საკავშირო ტურნირი. **ბათუმი.**

**24–13/X.** ჭადრაკი. ვაჟთა საკავშირო ტურნირი — ვ. ქარსელაძის მემორიალი. **ქუთაისი.**

**20–25.** ბალახის ჰოკეი. საქართველოს სსრ ჩემპიონატი IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით. **ქუთაისი.**

### „სპორტპროგნოზი"

**XXIV ოლიმპიადის ხელბურთისა და წყალბურთის ტურნირების თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები**

**(2–28 სექტემბერი)**

1—2, 2—2, 3—1, 4—2, 5—[illegible], 6—2, 7—X, 8—2, 9—X, 10—2, 11—2, 12—2, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე შედეგს.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

IX

ინდექსი 66165. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. [illegible] კომპლექსი, [illegible] ქ. 29. უე 05562